დანართი

საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრს

განმცხადებელი ----------
(გვარი, სახელი,
მოქალაქეობა)

პასპორტის ნომერი ----------

ფაქტობრივი მისამართი ----------

ტელეფონის ნომერი ----------

განცხადება

ჩავირიცხე ----------
(მიუთითეთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება)

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი განცხადება 2025-2026 სასწავლო წლისთვის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად.

ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

2025-2026 სასწავლო წლისთვის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნით განცხადების განხილვისას თქვენ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო) ტელ.: 023 2 200 220; ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge

რა მონაცემები მუშავდება და რა მიზნით:

უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების ფარგლებში, თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვისა და კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, სამინისტრო ამუშავებს თქვენ პერსონალურ მონაცემებს (მათ შორის: სახელი, გვარი, პასპორტის ნომერი, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი მისამართი, ან/და საჭიროებიდან გამომდინარე, გრანტის მიღებისთვის აუცილებელი დამატებითი ინფორმაცია). ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე სამინისტრო უფლებამოსილია მონაცემთა შეგროვებისა და გადამოწმების მიზნით თქვენი პერსონალური მონაცემები გრანტის მიღების მიზნობრიობის გათვალისწინებით გაუზიაროს სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და საჭიროების შემთხვევაში შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს.

დამუშავების საფუძვლები:
სამინისტრო თქვენს მონაცემებს ამუშავებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

შენახვის ვადები:
,,სამინისტროში მოქმედი სამინისტროს საქმეთა ნომენკლატურის“ შესაბამისად თქვენი მონაცემები ინახება 50 წლის მანძილზე.

თქვენი უფლებები:
თქვენ გაქვთ შემდეგი უფლებები:

- ✓ მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
- ✓ მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება;
- ✓ მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება;
- ✓ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, მონაცემთა წაშლის ან განადგურების უფლება;
- ✓ მონაცემთა დაბლოკვის უფლება;
- ✓ გასაჩივრების უფლება.

მოთხოვნის წარმოდგენა შეგიძლიათ წერილობითი ფორმით.
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, ნინო ციხისელს – ტელ.: 023 2 200 220 (1407); ელ. ფოსტა: ntsikhiseli@mes.gov.ge.

<u>გთხოვთ მონიშნოთ</u>
☐ ვადასტურებ, რომ მომეწოდა სრული ინფორმაცია ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, ვიცნობ ჩემს უფლებებს და ინფორმირებული ვარ, რომ სამინისტრო დაამუშავებს ჩემს პერსონალურ მონაცემებს ზემოაღნიშნული მიზნებისათვის.

თარიღი: **ხელმოწერა:**